მოსკოვში ჩატარდა ნიუ-იორკში ამერიკულ მეტოქიონზე ტერორისტული თავდასმხის 20 წლისთავის მოსახსენიებელი მსახურება

2021 წლის 11 სექტემბერს, უფლის წინასწარმეტყველის, წინამორბედისა და ნათლისმცემლის იოანეს თავის კვეთის დღეს და აშშ-ში ტერორისტული თავდასხმის მე-20 წლისთავზე, რომელმაც დაახლოებით სამი ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მოსკოვის ვსპოლიეს დიდმოწამე ეკატერინეს სახელობის ტაძარში –მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლობაში – ტერორისტების ხელით უდანაშაულოდ მოკვდინებულთათვის საღვთო ლიტურგია და პანაშვიდი აღესრულა.

მიცვალებულთათვის ღვთისმსახურება ინგლისურ ენაზე ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა, წმინდა ეკატერინეს სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა დანიელ

ანდრეიუკმა შეასრულა. ღვთისმსახურებაზე დედა ვერა ანდრეიუკის ხელმძღვანელობით გალობდა მგალობელთა გუნდი.

პანაშვიდს ესწრებოდნენ: აშშ-ს ელჩი ჯონ ჯ. სალივანი; კანადის ელჩი ელისონ ლეკლერი; საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების მართლმადიდებელთაშორისი ურთიერთობების მდივანი დეკანოზი იგორ იაკიმჩუკი; ჩეხეთის მიწებისა და სლოვაკეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი არქიმანდრიტი სერაფიმე (შემიატოვსკი); საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კლირიკოსი დეკანოზი კახაბერ გოგოტიშვილი; ტაძრის სასულიერო პირები და მრევლი, აშშ-ს და კანადის საელჩოების თანამშრომლები.

პანაშვიდის შემდეგ მამა დანიელი დამსწრე საზოგადოებას სრულიად ამერიკისა და კანადის უნეტარესი მიტროპოლიტის ტიხონისა და წმინდა ეკატერინეს სახელობის ტაძრის სასულიერო პირების სახელით მიესალმა. მან ხაზი გაუსვა, რომ კარგი ტრადიცია გახდა ამ დღეს ტაძრის კედლებში შეკრება, რათა პატივი მიაგონ მათ ხსენებას, ვინც 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში ტერორისტებმა მოაკვდინეს, ასევე ყველა საერთაშორისო ტერორიზმის მსხვერპლს. „ჩვენ არა მხოლოდ ვლოცულობთ მიცვალებულთა განსვენებისთვის, არამედ ვამოწმებთ ყველა ადამიანის ერთიანობას, მიუხედავად მოქალაქეობისა და კონფესიისა“, – თქვა მღვდელმსახურმა.

პანაშვიდის შემდეგ დამსწრე საზოგადოება ტაძრის ეზოში გავიდა, სადაც მსხვერპლთა ხსოვნისადმი ზარის 11-ჯერ რეკვა გაისმა, – იუწყება ტაძრის ვებ-გვერდი.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88005/